საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია ოთხშაბათი, 30 ივლისი 1919 წ. რევოლუციონერო ერთდეთ ძმანო, შეერთდით! № 168

ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე ასევე მეორეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ტექსტი განცხადებისა არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის მწყობრალური კომიტეტისა

ღრმად დამწუხრებულნი მეიღლე ვერა კონსტანტინეს ასული თოფურიძისა შვილებით: ალიოშა და ტატიანა, მშობლები ოლღა და ალექსი. და ალექსანდრა, სიდედრ-სიმამრი მართა და კოსტანტინე და ბიძაშვილი ივლიანე მეუღლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 31 ივლისს (18 ივლის ძველი სტილ.) გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ნახუტურის ეკლესიაში უსაყვარლესი

აკაკი ალექსის ძე თოფურიძის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყება ჩვეულებრივ, პანაშვიდი კი დილის 12 საათიდან, (2—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მატრონა და შვილები: ვლადიმერ, ალექსანდრე და ბიკტორ, მამა ლომიკი, დედა ფაჩა, სიმამრი ნიკო, სიდედრი ელისაბედი, ძმები: ბასა, სოლომონ, ერმილე, იონა და სერგი, დები; მაკრინე, ბარბალე და პელაგია, ცოლის ძმა სანდრო გოჩოლეიშვილი,, ქვისლები: პეტრე შუხლაია, ნესტორ ძაგანია, პლატონ ლაბარტყავა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობს გარდაცვალებას

გრიგოლი დმიტრის ძე შანგუას

უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 30 ივლისს, დღით ოთხშაბათს 12 ს. ნაძალადევში თავის საკუთარ სახლებში აფანასევის ქ, № 1.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სოფიო შვილებით, მშობლები: დარო და ვანო, ძმა ლადო, და ნინო, ბიძა ისაკო, ბიცოლა აგრაფინე, ბიძაშვილი თამრო ალხანიშვილები, მამიდა ნინო გოგინაშვილი თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 30 ივლისს, დილის 10 საათზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი (12 საათზე) განსვენებიდან 50 დღის შესრულების გამო

ჰეტო ივანეს ძე ალხანიშვილის

სულის მოსახსენებლათ.

სახელმწიფოთა ურთიერთობის ახალი ფორმები

დღევანდელ საზოგადოების მოწინავე ფენებმა თეორიულად, განყენებულად, კარგა ხანია, რაც შეიმუშავა ახალი ფორმები სახელმწიფოთა ურთი-ერთობისა. მაგრამ პრაქტიკაში ეს ფორმები ჯერ არსად განხორციელებულა. სახელმწიფოთა ურთიერთობა დღეს ჯერ-ჯერობით ორივე ფეხით დგას ძველ უკულტურო, ველურ პრინციპების ნიადაგზე: ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრა, ფიზიკურ ძალის საშუალებით გადაწყვეტა სადავო საკითხებისა, მეცნიერების, ცოდნის და ყველა ფსიხიურ ძალების გადაქცევა ფიზიკურ ძალის მსახურად, სისხლის აღების ჩვეულება,—ყველა ეს ფორმები, რომლებიც 1000 წლის წინ თუ იყო გამეფებული და დღეს კი უკვე გამოდევნილია კულტურულ პიროვნებათა ურთიერთობიდან, ჯერ-ჯერობით ურყევლად დგანან და გადამჭრელი ხმა აქვთ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ბურჟუაზიულმა აზროვნებამ თეორიულად იგრძნო საჭიროება სახელმწიფოთა ურთიერთობის ახალ პრინციპზე აშენებისა, მაგრამ პრაქტიკულად მან ამის განხორციელება სრულებით ვერ მოახერხა.

ამ ახალ ფორმების შესაქმნელათ მოწოდებულია ახალი ძალა, ახალი საზოგადოება, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოების ნანგრევებზე უნდა აშენდეს. პრაქტიკული ფორმულა ახალ „საგარეო პოლიტიკისა“ უკვე მოცემულია სწორედ მომავალ საზოგადოების მოციქულის მიერ. კარლ მარქსმა ასეთი პრინციპი დაუდვა საფუძვლათ ახალ საგარეო პოლიტიკას:

„ის ზნეობრივი ნორმები, რომლებიც პიროვნებათა ურთიერთობას აწესრიგებენ, უნდა საფუძვლათ დაედოს სახელმწიფოთა ურთიერთობასაც“.

ამ ფორმულაში უბრალოთ და მკაფიოთ გამოხატულია მთელი პროგრამა სოციალისტურ საგარეო პოლიტიკისა. მხეცივით ერთმანეთის გლეჯის ნაცვლათ სახელმწიფოთა შორის უნდა კულტურული ერთობა დამყარდეს. ეს დღეს ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა, ყველასათვის აშკარა საჭიროებაა; მიუხედავათ ამისა ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე მდგარ ძლიერ სახელმწიფოთა მესვეურთ არ შეუძლიანთ შეუდგნენ მის განხორციელებას.

მხოლოდ აქა-იქ, სადაც კი რევოლიუციის ქარტეხილში სოციალისტები მოექცენ სახელმწიფოს სათავეში და სადაც კი მათ შეძლება ეძლევათ ტონი მისცენ მთელს საზოგადოებას, ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოთა ურთიერთობის ახალ ფორმების ჩანასახს. ამის ნიშნებს ჩვენ ვხედავთ დღევანდელ გერმანიის მმართველ პარტიის სოც.-დემოკრატიის საგარეო პოლიტიკაში. გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიულლერმა თავის საპროგრამმო სიტყვაში მკაფიოდ გამოხატა ის ახალი ნიადაგი, რომელზედაც უნდა იყოს აგებული ახალ გერმანიის საგარეო პოლიტიკა. დამარცხებული გერმანია დღეს უკიდურეს დამცირებას და შევიწროვებას განიცდის გამარჯვებულ სახელმწიფოთა მადა-გახსნილ ბურჟუაზიის მხრით. ძველი პოლიტიკა მოითხოვდა, რომ ამისთანა შემთხვევაში ხალხში ზღვევის წადილი, „რევანშის“ იდეა გაღვივებულიყო. მიულლერი ამ „რევანშის“, სისხლის აღების ჩვეულებას გადაჭრით უარყოფს. იგი აღიარებს, რომ გერმანიის დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა თვით გერმანიის მესვეურთა ბრალია. იგი შედის დანგრეულ ბელგიის და განადგურებულ ჩრდილო საფრანგეთის მდგომარეობაში, გულახდილად აღიარებს, რომ გერმანიას ამ განადგურებაში და დანგრევაში დიდი ბრალი მიუძღვის და ამ სახელმწიფოებთან ურთიერთობას მომავალში აფუძნებს თავის სახელმწიფოს ცოდვების გულწრფელ შენანიებაზე, ზარალის ანაზღაურებაზე და ამ ერებთან ძმურ თანამშრომლობაზე. ვერაგობა და მუხანათობა სამუდამოდ უნდა იყოს გამოდევნილი დიპლომატიიდან, „საიდუმლო დიპლომატიის და ინტრიგების სისტემა უნდა აღმოიფხვრას“.

სახელმწიფოთა ურთიერთობა იმავ ზნეობრივ ნორმებს უნდა ემორჩილებოდეს, როგორც პიროვნებათა ურთიერთობა. აი ის წესი, რომლითაც გელმძღვანელობს ჩვენი რესპუბლიკის მმართველი პარტია საგარეო პოლიტიკაში. რევოლიუციის გრიგალმა დალეწა ის სალტები, რომელნიც აერთებდენ ადამიანს ადამიანთან, ერს ერთან, სახელმწიფოს სახელმწიფოსთან. „კაცი კაცის მგელიაო“, ეს ისე თავის დღეში არ გამართლებულა, როგორც დღეს. სახელმწიფო სახელმწიფოს „მგელი“ გახდა, ერი ერს ანადგურებს, მეზობელი მეზობელს აღარ ინდობს. და აი ამ საერთო კბილთა ღრჭენის და მხეცურ ღმუილის ატმოსფერაში ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ დგას ადამიანურ, კულტურულ ურთიერთობის ნიადაგზე. „სომხები ვერაგები არიან! მათთან არავითარი კავშირი, არავითარი მოლაპარაკება არ შეიძლება! მხოლოდ ბრძოლა!“—გაჰკივიან ირგვლივ კაციჭამია პოლიტიკოსები. „რაც შეიძლება შორს გასწიეთ სახელმწიფოს საზღვრები! რაც შეიძლება მაღალი ზღუდე ამართეთ ჩვენს შორის!“ ისმის მეორე მხრიდან. „გასწმინდეთ სახელმწიფო რუსებისაგან! თვალი გვჭირთ ოსებისაკენ!“ აყრუებენ ჰაერს მესამე მხრით. ეს გამაყრუებელი მგლური ყმუილი აქედან სათანადო გამოძახილს პოულობს იმ საზოგადოებაში, იმ სახელმწიფოში და იმ ერში, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია იგი. ძნელი ხდება მიქმედება, ძნელია ადამიანური ლაპარაკი ამ მხეცურ ღრიალით სავსე ატმოსფერაში. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკა მაინც მტკიცეთ ადგია თავის გზას და მაინც ცდილობს ადამიანური კილო გააგონოს კაცი-ჭამია პოლიტიკოსების მიერ გაყრუებულ ხალხის ფართო წრეებს. რაც შეიძლება მეტის დათმობა, რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანობა, მეზობლის გასაჭირის გათვალისწინება, აი ის წესი, რომელსაც ადგია ჩვენი საგარეო პოლიტიკა. „სისხლის აღება“, „რევანში“ და ყველა ველურ ხანიდან დარჩენილი ტრადიცია გამოდევნილია ჩვენი პოლიტიკიდან.

ყველა ამ მხარეებით ჩვენი პოლიტიკა, თუ გნებავთ, უახლოვდება იმ მორალს, რომელსაც ჩვეულებრივ „ქრისტიანული“ ეწოდება. მაგრამ სასტიკად შეცდება, ვინც ჩვენს პოლიტიკურ ზნეობას გაათანასწორებს ქრისტიანულ ზნეობასთან: ჩვენი პოლიტიკური ზნეობა სრულიადაც არ დგას იმ პრინციპზე, რომელიც ქრისტიანულ მორალის ქვაკუთხედს შეადგენს. ჩვენ სრულებითაც არ ვქადაგებთ, ბოროტს ნუ ეწინააღმდეგებით და ძალას ნურავის დაატანთო. ფიზიკურ ძალის გამოყენებასაც არ გავურბით, მაგრამ მას მივმართავთ მხოლოდ მოძალადის წინააღმდეგ და უმთავრესად იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საჭიროა ჩვენი დემოკრატიის თავდაცვისათვის.

ლორის, ბამბაკის, ახალქალაქ-არტაანის და სხვა სადაო საკითხების გამო ნაციონალისტებმა ამ ბოლო დროს საშინელი განგაში ასტეხეს. ამ განგაშის მიზანია ჩვენი სახელმწიფო ჩააბან მხეცთა სამეფოს საერთო ფერხულში, მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს თავისი, გზა აქვს არჩეული და პირველყოფილ ზნეობის არსენალიდან აღებული მოსაზრებისათვის არ გადაუხვევს ამ გზას.

საქართველოს სენატი

3.

სენატის დანიშნულება იქნება ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს ახალი უფლებრივ ცხოვრების განმტკიცება, კანონიერების დაცვა.

როგორ და რაში გამოიხატება ეს?

ხალხის წარმომადგენლები იღებენ, ხალხის ინტერესების მიხედვით მრავალ კანონებს, რომლებითაც საზღვრავენ ახალ სოციალურ ურთიერთობას (აგრარული რეფორმა, მუშათა შრომის დაცვა), ახალ პოლიტიკურ წესწყობილებას (დემოკრატიული რესპუბლიკა) და კერძო, მოქალაქეობრივ ცხოვრებას. ეს კანონები ცხოვრებაში უნდა გაატარონ აღმასრულებელმა ძალამ (მთავრობამ, ადმინისტრაციამ) და სასამართლომ. მაგრამ ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ კანონის **სწორი** აზრი ერთნაირათ გაიგოს ყველამ, სინამდვილეში ეს არ ხდება. კანონის გამოცემის შემდეგ გადის დრო, კანონის გამოცემის მიზეზი, აზრი და მიზანი ავიწყდებათ. რჩება კანონთა კრებული, სადაც დაბეჭდილია კანონი, რომლის აზრიც ერთობ ხშირათ ხდება სადავო. მთავრობას ჰყავს მრავალი მსხვილი და წვრილი მოხელე, სასამართლოსაც აქვს ბევრი ორგანო (120 მომრიგებელი მოსამართლე, 11 მათი ყრილობა, 3 საოლქო სასამართლო. სამხედრო სასამართლო და სხვ). ყოველს მათგანს თავისებურათ შეუძლია კანონის გაგება, მით უმეტეს, რომ ერთი დაინტერესებული მხარე ამტკიცებს ხოლმე, კანონის აზრი ეს არისო, მეორე მხარე სულ წინააღმდეგს ამბობს. ყველამ იცის, რამდენი გაუგებრობა და საჩივარი გამოიწვია ახალმა აგრარულ კანონებმა, როცა იმათი განხორციელება დაიწყეს. ხშირათ კანონით მინისტრს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს მინიჭებული აქვთ უფლება სავალდებულო დადგენილებანი თუ ცირკულიარები გამოსცენ კანონის ფარგლებში, მაგრამ სინამდვილეში ხშირათ ეს სავალდებულო დადგენილებანი და ცირკულიარები ძირიანათ ეწინააღმდეგება კანონს.

აი, ამ სფეროში კანონის ნამდვილ აზრის განმარტებაში სენატი ხელმძღვანელობს ყველა სახელმწიფოებრივ დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ, და ამ მხრივ სენატი იქნება უსაჭიროესი თანაშემწე საკანონმდებლო ორგანოსი. ვთქვათ, მინისტრმა ვიხმე უკანონოთ დაიჭირა, ან დააჯარიმა, ან რაიმე ქონება ჩამოართვა, ან სავალდებულო დადგენილება გამოსცა. სენატი მის ასეთ განკარგულებას თუ დადგენილებას გააუქმებს და კანონის აზრს განუმარტავს. მომრიგებელმა მოსამართლემ ან საოლქო სასამართლომ უკანონოთ გადაწყვიტა რომელიმე სამოქ. თუ სისხლის სამართლის საქმე; დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გაასაჩივროს გადაწყვეტილება მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაში ან სამოსამართლო პალატაში, კუთვნილებისამებრ, ხოლო ამ უკანასკნელთა განაჩენი—სენატში. სენატი გააუქმებს უკანონო განაჩენს, განმარტავს კანონის სწორ აზრს და უბრძანებს განაჩენის გამომტან სასამართლოს ხელახლა განიხილოს საქმე და გადაწყვიტოს კანონის განმარტებული აზრის თანახმად. სენატს შეუძლია, თუ საჭიროთ დაინახავს, კანონის განმარტება, ამა თუ იმ საქმით გამოწვეული, საქვეყნოთ გამოაცხადოს, რომ ყველა დაწესებულებებმა იხელმძღვანელონ ასეთი განმარტებით. ესევე ითქმის თვითმართველობის ორგანოების უკანონო მოქმედების თუ დადგენილების გასწორებაზე.

ასე დიდია სენატის დანიშნულება კანონების განმარტების დარგში. მაგრამ სენატს სხვა მიზანიც აქვს დასახული.

ს. ჯაფარიძე.

პრესა

„სახ. საქმე“ გამოგვეხმაურა, მაგრამ მისი უკანასკნელი წერილი არ წარმოადგენს პასუხს ჩვენს შენიშვნაზე. „სიცრუე“ ჩვენ ვუწოდეთ არა იმ აზრს, რომ ჩვენი ადმინისტრაცია არ ვგრგა, არამედ იმ აზრს, ვითომც ჩვენი ადმინისტრაცია უფრო და უფრო დღითი-დღე ეცემოდეს. „სახ. საქმე“-ს თავის აზრის დასამტკიცებლად 8 ფაქტი მოჰყავს, მაგრამ ეს ფაქტები ან წარსულს შეეხება (ადეიშვილის და ქელბაქიანის საქმე), ან შეეხება იმას, რაც ჩვენს გაზეთში უფრო წინათ იყო აღნიშნული, ვიდრე „სახალხოში“, (ყაჩაღობა ახალგორში), ან სადავოა. ითუნდაც ეს ფაქტები სულ ახალი და სულ მართალი იყოს, მათი მოყვანისთვის „სახალხოს“ ჩვენ დავუმადლებდით, მაგრამ მათ მოყვანას ჩვენდა პასუხად ვერ მივიჩნევდით, „нее обстоит благополучно“—ამას ჩვენ არ გამბობდ, ჩვენ (მეასედ ვიმეორებთ) ვიცით რომ ადმინისტრაცია ვერა გვყავს კარგი, ვიცით რომ ამაზე საჭიროა წერა, დავუმადლებთ ყველას, ვინც ადმინისტრაციის თვითნებობის ფაქტებს აღმოაჩენს, მაგრამ ერთს რამეს კი მოვითხოვთ: ფაქტები მართალი იყოს და მოგონილი ნუ იქნება. ხომ იცით. ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებენ.

* * *

„გრუზია“ რაღაც კაი ფეხზე ამდგარა დღეს იგიც ადმინისტრაციის უვარგისობაზე სწერს, მაგრამ სწერს ამ გაზეთისათვის არა-ჩვეულებრივ საქმიან კილოთი. იგი მზათ არის აღიაროს, რომ ადმინისტრაციის უვარგისობა სოციალ-დემოკრატიას არ უნდა ედებოდეს ბრალათ:

„არ შეიძლება, რომ ეს სამწუხარო მდგომარეობა, ცხოვრების არა-ნორმალური პირობები, რომელიც ჩვენს პროვინციაშია შექმნილი, ბრალად დავდოთ საქართველოს ამა თუ ის პოლიტიკურ პარტიის ხელმძღვანელთ და მეთაურთ. კითხვა სხვანაირათ დგას: ის ხალხი, რომელსაც დღეს პრო-

დ ღ ე ს

საზავო ხელშეკრულების ძალით ბულგარეთის ტერიტორია შემცირდება. ზარალის ასანაზღაურებლათ ბულგარეთმა უნდა გადაიხადოს 40 მილიონი გირ სტერლინგი, რომელიც გადაეცემა რუმინიას, სერბიას და საბერძნეთს.

ინგლისში მაღაროს მუშათა გაფიცვა დასრულდა მუშათა წარმომადგენლების მთავრობასთან შეთანხმებით.

სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა კონსტანტინოგრადი დასტოვა. დასავლეთის ფრონტზე, პსკოვის რაიონში, საბჭოთა ჯარმა უკან დაიხია.

ჩელიაბინსკის აღების შემდეგ საბჭოთა ჯარი ციმბირის დასაპყრობათ ემზადება.

ევნციაში ეს თუ ის ადმინისტრატიული ალაგი უპირავათ, მართალი რომ ითქვას, არც ერთ მომქმედ პოლიტიკურ პარტიასაც არ ეკუთვნიან. რევოლიუციის პირველ დღეებმა და ყველაფერ ძველის საჩქაროთ ლიკვიდაციამ შექმნა მთელი კონტინგენტი იმ პირთა, რომლებიც მმართველ პარტიას მიეტმასნენ მხოლოდ პირად ანგარიშის გულისათვის. ბევრს ამ პირთაგანს უწინ სრულებით არ აინტერესებდათ საზოგადოებრივი და პოლიტიკური საკითხები, მათ არ ჰქონდათ არავითარი ქონებრივი და განათლების ცენზი და დღეს კი სოფელს სათავეში მოექცნენ და სისხლს სწოვენ მას. სცადეთ და იმ ადგილებიდან დასძარით ისინი, და დაინახავთ, რომ ეს პირნი დაუყონებლივ გადაიქცევიან მართველ პარტიის, მთავრობის და თვით ქართველ ხალხის დაუძინებელ მტრებად. იმაზედაც არ უნდა დავხუჭოთ თვალები, რომ დღევანდელი სოფლის ადმინისტრატორები... სოფლის ხალხის თვალში არა მარტო სოციალ-დემოკრატიის და მთავრობის სახელს ამცირებენ, არამედ ამდაბლებენ თვით დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის იდეასაც“.

კომუნისტების მოწოდება

ბაქოს „მოლოტ“-ში კომუნისტებმა მოწოდება გამოაქვეყნეს კავკასიის მშრომელთადმი.

რომ უყურადღებოთ დავსტოვოთ მოწინააღმდეგეთა ის ლანძღვა-თრევა ამ მოწოდებაში, რომელსაც დიდი ადგილი უპირავს, როგორც საზოგადოთ ბალშევიკების ყოველგვარ გამოსვლაში, ისე ამ მოწოდებაშიც, ერთი აზრი დაგვრჩება.—და ეს არის საბჭოთა მთავრობის უპირატესობა მშრომელი ხალხისათვის მთელს კავკასიაში.

კომუნისტების აზრით, საბჭოთა მთავრობა, და ორიენტაცია რევოლიუციონურ, საბჭოთა რუსეთზე იხსნის კავკასიის ერებს ეროვნული შუღლისაგან და სხ.

მაგალითად მოწოდებაში მოჰყავთ კომუნისტებს სომებ-თათართა შეტაკებანი, რომელსაც ბოლო ვერ მოუღეს „ახლად გამოჩეკილმა“ რესპუბლიკებმაო.

ჩვენ არ შევუდგებით ამ წერილში დაწვრილებით კომუნისტების მოწოდების გარჩევას, ვიტყვით მხოლოდ შემდეგს:

რა მოუტანა სხვადასხვა ერებს ბალშევიკების ბატონობამ?

განა ბალშევიკების ბატონობის დროს შემცირდა ეროვნული შუღლი?

მოვიგონოთ ცოტა რამ წარსულიდან:

ბაქოში ბატონობის დროს ბალშევიკები ემყარებოდენ ზოგჯერ მუსულმანებს,—(მუსავატს), ზოგჯერ სომხებს (დაშნაკცუტიუნს), რომლის ერთი ნაწილი მემარცხენეთ მონათლეს.

შედეგიც ამისი შესაფერი იყო: როცა დაშნაკელებზე ეყრდნობოდენ,—თათრებს ჟლეტდენ და პირიქით. (მოიგონეთ მარტის დღეები ბაქოში 1918 წ. და სხ.).

ასევე იქცეოდენ ბალშევიკები ჩრდილო კავკასიაში: როცა ყაზახები უმაგრებდენ იქ ზურგს ბალშევიკებს, ხდებოდა ინგუშების დარბევა და პირიქით.

ერთი სიტყვით, იმ ადგილებში, სადაც კი ბალშევიკებს ბედმა ბატონობა არგუნა, ეროვნული საკითხი ყოველთვის უმაღლეს წერტილამდე იყო გამწვავებული.

და თუ მოვიგონებთ წარსულს, ძნელი გასაგები არ იქნება რა საშუალებით მოაგვარებენ ისინი ამიერ-კავკასიაში ამ საკითხს!

მშრომელთა შეკავშირებით?

რომელ ძალას უნდა დაეყრდნოს ამიერ-კავკასიის მასშტაბით ბალშევიზმი?

ამიერ კავკასიაში მოსახლე სამ მთავარ ერში — ქართველებში, მუსულმანებში და სომხებში—ბალშევიკები ვერ ჰპოვებენ იმ თანასწორ ძალას, რომელიც საძირკველი გახდება მათი სოციალური „რეფორმებისა“ თუ ექსპერიმენტებისა.

ერთ რომელიმე ერში უნდა მონახონ მათ ეს ძლიერი ძალა. ვთქვათ, ქართველ ერში ჰპოვეს ბალშევიკებმა ის ძალა, რომელიც ასე თუ ისე სოციალური რეფორმის გზაზე შესდგება. მაშინ ქართველების საშუალებით შეუდგებიან „სოციალიზმის დამყარებას“ როგორც ადერბეიჯანში, ისე სომხეთში, ვინაიდან მთავარ ძალას ამ საქმეში ვერ მოგვტემს ვერც ადერბეიჯანი, ვერც სომხეთი.

როგორ შეხედავენ ამას საქართველოს გარეშე? რა თქმა, უნდა ამას ჩასთვლიან საქართველოს ძალადობად სხვებზე. და სწორედ აქ ჩაეყრება საძირკველი იმ ეროვნულ შუღლს, რომლის მოსპობაზედაც ბალშევიკების სიტყვათა რახა-რუხს საზღვარი არ აქვს.

ან იქნება ბალშევიკები ფიქრობენ, რომ დაშნაკცუტიუნი არ გაბალშევიკდება „მთლიან“ ამიერ-კავკასიაში იმ მოსაზრებით, რომ თათრები ჟლეტოს (ბაქოს მაგალითი)? ან მუსულმანი მოძალადენი არ მიიღებენ ბალშევიზმს სომხეთის წინააღმდეგ სამოქმედოთ?

და როგორ შესძლებს ბალშევიზმი ამ გვარ მდგომარეობის მოწესრიგებას, ეს ჩვენ ჯერგათ ვიცით.

იქნება დაუსრულებელი ჟლეტა ხან სომხის „კონტრ-რევოლიუციონერების“, ხან თათრების და ხან ქართველების.

სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს ხელუხლებლათ დავსტოვოთ თითოეულ რესპუბლიკათა წესები, მივანდოთ ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტა ადგილობრივ ძალებს. შეიძლება ეს არ მოხდეს საჩქაროდ, მაგრამ როცა მოხდება ის, მოხდება კულტურულათ, შეგნებულათ და არა ისე, როგორც მას იწყებენ ბალშევიკები და არ ვიცით, ვინ ან როგორ დააბოლოვებს მას...

საქართველოს გარშემო

დაშნაკელების მუშაობა.

ინგლისურ გაზეთ „დეილ ტელეგრაფის“ 25 ივნისის ნომერში მოთავსებულია ვრცელი წერილი სომხეთის შესახებ.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ, მართალია ჯარგა ხანია დროებითი ზავი ჩამოვარდა, მაგრამ სისხლისგან დაცლილ სომხეთმა მაინც თავისუფლად ვერ ამოისუნთქა.

პატარა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 300,000 ლტოლვილს მოუყრია თავი, რომელთათვისაც ოსმალეთის სომხების ქარები დაბშულია.

ავტორი წერილისა საჭიროთ სცნობს აღიარებულ იქნას საზავო კონფერენციის მიერ სომხეთის დამოუკიდებლობა. სომხები ღირსეულ მოკავშირენი იყვენ ინგლისის და სასტიკ წინააღმდეგობასაც უწევდენ ოსმალებს. მიუხედავათ ამისა, მოკავშირეებმა ვერ მოაგვარეს ჯერ ჯეროვნით სომხეთის რესპუბლიკის საქმე. სომხეთი არ არის უზრუნველყოფილი, რომ მას მეზობლები არ დაესხმიან თავს და არ დაიპყრობენ მის ტერიტორიას.

შემოსდგეს თუ არა ფეხი კავკასიაში მოკავშირეთა ჯარებმა, ბრძანება გასცეს, რომ კავკასიაში მოსახლე ერებს შეეწყვიტათ ყოველივე სამხედრო მოქმედებები. სომხებმა ეს ბრძანება შეასრულეს იმ იმედით, რომ საზავო კონფერენცია იცნობდა მათ უფლებებს. მაგრამ ასევე არ მოიქცენ კავკასიაში მცხოვრები სხვა ერები. ისინი ოსმალეთ-გერმანიის ორიენტაციის იყვნენ და სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ ებრძოდენ სომხებს. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკამ ისარგებლა სომხების არა შორს მხედველობით და შეუერთა საქართველოს ლორი და ახალქალაქი,—სადაც ქართველების რიცხვი 6000 და 18 ათასი კი სომხობა სცხოვრობს ამ რაიონებში.

მეორე მხრივ, ადერბეიჯანის მთავრობამ ძალით შეიერთა სომხეთის კუთვნილი ტერიტორია ყარაბახი, ადერბეიჯანის მთავრობამ დაიპყრო ყარაბახის ყველა სტრატეგიული პუნქტები და სურს ამით კონფერენცია მომხდარ ფაქტის წინაშე დააყენოს. მაგრამ, ცხადია ყველასათვის, რომ იქ მცხოვრები 330 ათასი სომეხი შეუძლებელია დაემორჩილონ 90 ათას მუსულმანს.

ამიერ კავკასიაში არ დამყარდება მშვიდობიანობა, ვიდრე ყარაბახი თათრების ხელში იქნება. ყარაბახი ყველაზე ძვირფასი ნაწილია სომხეთის ტერიტორიის. სამართლიანობა მოითხოვს, რომ სომხეთს მიეცეს ყარაბახი.

არ შეიძლება დავიწყებას მიეცეს ის ფაქტი, რომ სომხებმა შეაჩერეს ოსმალ გერმანელების წინსვლა სპარსეთში, რომელთაც სურდათ ინდოეთის დაპყრობაო.

წერილის ავტორი იმედს გამოსთქვამს, რომ 1878 წელში დაშვებული შეცდომა არ განმეორდება და ოსმალებს ხელში აღარ ჩაუგდებენ სისხლისაგან დაცლილ სომხეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმოსავლეთში არასოდეს არ დამყარდება მშვიდობიანობაო.

უკანასკნელი ცნობები

ლორის შესახებ.

დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის მდივნისაგან შემდეგი წერილი მიიღეთ: „დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის დავალებით გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა კომისიას არავითარი გადაწყვეტილება ლორის დათმობის შესახებ არ მიუღია და ადგილობრივ ქართულ-რუსულ პრესაში ამ საკითხის გარშემო ატეხილი ხმაურობა, ყოველივე საფუძველს მოკლებულია“.

დ ე პ ე შ ე ბ ი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

29 ივლისი.

ფრანგული პრესის ცნობები.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ პარასკევს მოიწონა პასუხი, რომელიც უნდა გასცეს გერმანელთა 2 ნოტას გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების შესახებ. პირველ ნოტის პასუხში განმარტებულია. თუ რა საშუალებით უნდა მოხდეს პოლონეთისთვის დათმობილ ოლქების ევაკუაცია. მეორე ნოტის პასუხი საზღვრავს იმ საერთაშორისო კომისიის როლს, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ზემო-სილეზიაში პლებისციტის მოხდენას. შემდეგ საბჭომ განიხილა ბულგარეთის ხელშეკრულება, რომელიც თითქმის უკვე მზადაა. მოწონებულ იქნა ბულგარეთის ჯარის, საზღვაო ძალების და შეიარაღების რაოდენობის და აგრეთვე მოკავშირეთა სხვადასხვა ქვეყნებში დაკავებულ ბულგარელ ტყვეების სამშობლოში დაბრუნების პირობები. სამხედრო სარდლობას დაევალა რწმუნებულნი დანიშნოს სმირნაში მომხდარ ამბების გამოსარკვევად. შემდეგ პოლონელებს და ჩეხო-სლოვაკებს დამატებით 8 დღის ვადა მისცეს ტენენის საკითხის გადასაწყვეტად.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ მაღაროს მუშების გაფიცვა თითქმის დასრულდა. ხელახლათ მოხდა თათბირი მთავრობასა და მაღაროს მუშების აღმასრ. კომიტეტთან. მიღებულ იქნა მთავრობის შემდეგი წინადადება, მუშებს ისე მოემატოთ ხელფასი, რომ მუშების ჯამაგირი არ შემცირდეს მაღაროებში მუშების შემცირების გამო.

მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ბულგარეთის ხელშეკრულების საზღვაო და სამხედრო პირობები.

ინგლისური პრესის ცნობები.

ბულგარეთის დელეგატები პარიზში ივლისის 26 ჩამოვლენ. პარიზის გაზ. „ექსცელსიორ“-ი ამბობს, რომ ხელშეკრულების ძალით ბულგარეთის ტერიტორია შემცირდება, ზარალის ასანაზღაურებლათ ბულგარეთმა უნდა გადაიხადოს 40 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი, რომლის უდიდესი ნაწილი გადაეცემა რუმინიას, სერბიას და საბერძნეთს.

გერმანული პრესის ცნობები.

დეპეშები გადმოგვცემენ მინისტრ ერცბერგერის სიტყვის ნაწილს: მაშინდელმა მთავრობამ გერმანიის ხალხის წინაშე დანაშაული ჩაიდინა (გულისხმობს მიხაელისს). აგვისტოს 1 კანცლერმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ყოველივე წინადადება ზავის შესახებ უშედეგია და არაფეიი სთქვა ბელგიის ნეიტრალიტეტის შესახებ, როგორც არ უნდა იყოს აგვისტოს 30 პაპის ნუნციის საშუალებით მან მიიღო ინგლისის წინადადება, რომ გერმანიას თავის აზრი გამოეთქვა ბელგიის ხელშეკრულების შესახებ და უზრუნველყო ეს ხელშეკრულება, როგორც პოლიტიკურის და ეკონომიურის, ისე სამხედრო ძალის მხრით. წინადადების მიღება ზავზე მოლაპარაკებას გაადვილებდა. ითხოვეს ნება დაერთოთ, რომ გამოექვეყნებიათ ის ნოტა, რომელიც პაპს ჰქონდა, მაგრამ ჯერ პასუხი არ გაუცია რა მოხდა ბერლინში. 4 კვირის განმავლობაში არავითარი პასუხი არ გასცეს და ეს იმით ახსნეს, რომ წინადადება საკმაოდ ნათელი არ არისო. სექტემბრის დასასრულს მე მიუნქენში ვიყავ და პაპის ნუნციმ თვალცრემლიანმა შესძახა: „საწყალი ხალხია ესენი“. ამნაირად უქმი გამოდგა ინგლისის ცდა, რომ პაპის საშუალებით ემოქმედნათ. ჩვენ უნდა გავაგებინოთ გერმანიის ხალხს, თუ რთგორ ატყუებდენ მას ორი წლის განმავლობაში. ეს ფაქტები, რომ ხალხმა იცოდეს თვითვე მოითხოვდა ზავის შეკვრას, მერე რა მოხდა 1917 წლის ივლისში

(ერბერგი გულისხმობს გერმანიის რეიხსტაგის უმრავლესობის ცნობილ რეზოლიუციას). ჩვენ გვსურდა ზავი და თავისუფლება, მხოლოდ პასუხად იყო: არც ზავი და არც თავისუფლება. რა შედეგი მოყვა ამას? ჩემ წინააღმდეგ ყველა სამხედრო და საზავო ძალები აამხედრეს. სექტემბრის დასაწყისს გერმანიის რეიხსტაგის ზავისადმი გულწრფელი მისწრაფება აგიტაციის ჩააქრეს. გერმანია თვალღია გაემართა სიკვდილისაკენ. სექტემბერში მოკავშირეებმა შეადგინეს უმაღლესი სამხედრო საბჭო, მაგრამ რას მიაღწია მან ინგლისის მიერ აღძრულ საზავო მოლაპარაკებაში შუამავლობაზე მან უარი განაცხადა. ჩვენ ომს განვაგრძობდით. დადგა 1919 წელი. ყოველ გონიერ ცდას სამხედრო ძალით აღჩობდნენ. პასუხი ერთი იყო: უნდა მოვიცადოთ. სექტემბრის დასაწყისს კი რუსულად დავმარცხდით, მაგრამ ვერმინოს ხალხის ძალები ამით არ დაძაბუნებულა-იყო შედეგი მხოლოდ იმ კონსერვატიულ პარტიის უგუნურებისა, რომელსაც გერმანელი ხალხი დაშინებული ყავდა. მთავრობას და უმრავლესობას მეტი მოთმენა აღარ შეეძლო. მე დამიწყეს კიცხვა, რადგან მე ვიყავი მიზეზი იმ საბოტაჟისა, რომელიც გამოუცხადეს შეიდემანის პოლიტიკას. ამაზე მე ვიტყვი, რომ მიუხედავად კრიტიკულ ხანისა, ყველა ღელალურად მოქმედებდა. ის, რაც, როგორც ამბობენ, ვითომ მე მეთქვას უცხოელთა წარმომადგენლებისთვის, მართალი არ არის, რადგან მაისის 27-დან ივლისის 22-მდე მათგან არავისთან არ მილაპარაკნია. მე განვაცხადე, რომ გადავდგები, თუ საზავო ხელშეკრულების მოწერაზე უარს განაცხადებენ. ეს საჭირო იყო სახელმწიფოს მთლიანობის შესანარჩუნებლად. იმ კითხვაზე, თუ როგორ და რაზე იქნა მოხმარებული ფულები, მე გიპასუხებთ, რომ მთელი ხარჯების ნახევარზე მეტი ჯარზე იქნა გაწეული. ჩვენ არა ნაკლებ თქვენზე, ბ-ნნო კონსერვატორებო, გვეხება ქალების და ბავშვების საშინელი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ ერთში განვსხვავდებით. (შემდეგ გამოტოვებულია)

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი, ივლ. 28. **სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი.** ონეგის რაიონში ობეზერის მიმართულებით ჩვენ სოფ. ჩუნევსკოე ავიღეთ. დანარჩენ რაიონებში მზვერავები მოქმედებენ. **დასავლეთის ფრონტი.** კორელის ყელზე მტერმა ზოგიერთ ადგილას დაგვიშინა. პსკოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია. ზოგიერთები პორხავის დასავლეთით 20 ვერსზე არიან. პსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ სოფლები ავიღეთ. ნოვოსვენ-იანის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ნემანის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი უკან იხევს. ბარანოვიჩის მიმართულებით ჩვენ ნარუშევიცი დავიჭირეთ. ლუნინეცის მიმართულებით. ჩვენ ტუროვი დავიჭირეთ. მოგილიევ-პოდოლის მიმართულებით რამდენიმე სოფელი ავიღეთ ვაჰნიარსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით დანარჩენ ადგილებზე მდგომარეობა უცვლელია, **სამხრეთის ფრონტი.** ჩვენ კონსტანტინოგრადი დავსტოვეთ. ხარკოვის მიმართულებით ჩვენ ისეროვკა დავსტოვეთ. კოროჩანკის მიმართულებით სოფ. ხოლოდნოე დავიჭირეთ. ნოვოსკომის მიმართ. ჩვენ ბრძოლით სოფლები დავიჭირეთ. ბორისოგლების-ბალაშოვის რაიონში ჩვენი ჯარი უტევს. კამიშინის რაიონში ჩვენი ჯარი მოწინააღმდეგეს ებრძვის. აღმოსავლეთის ფრონტიდან ცნობები არ მოსულა. **კიევი.** 26 ივლისი. საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის დაიდო სამხედრო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ორივე მხარე მოვალეა ერთად გამოვიდნენ იმ თავდასხმის მოსაგერიებლად, რომელიც საფრთხეს უქადის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის დამოუკიდებლობას ან ტერიტორიის ხელშეუხებლობას. სომხეთს 2 კვირის ვადა მისცეს ამ კავშირთან შესაერთებლათ. **ლონდონი.** 25 ივლ. არხანგელსკიდან დეპეშით იუწყებიან, რომ აჯანყებულმა ჯარმა 5 ინგლისელი და 9 რუსი აფიცერი მოკლა, რაც ბალშევიკების მუშაობის ნაყოფია. **მოსკოვი.** ივლ. 28. საბჭოთა რუსეთის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ჩვენმა გმირმა ჯარმა თეთრგვარდიელთა რგოლი გაარღვია. ჩელიაბინსკის აღებით ჩვენ გამარჯვებით დავასრულეთ ურალისთვის ბრძოლა და გადაწყვეტით ვიწყებთ ბრძოლას ციმბირისთვის. ეს გვაძლევს საშუალებას მოვიხმაროთ ციმბირის ქარხნები, სადაც ბევრი მასალა და პური ინახება. ეხლა დენიკინის დამარცხებაა აუცილებელი და მაშინ წითელი ფრონტი გასწორდება **მოსკოვი**, ივლის. 29. საქართველოს მენშევიკების ცენტრალური ორგანო „ბორბა“-ში გამოქვეყნებულია დამფუძნებელი კრების 2 ივლისის სხდომაზე წარმოთქმული გეგეჭკორის სიტყვა, სადაც ნათქვამია: „დენიკინის შავი რაზმები ადერბეიჯანს უტევს და საქართველოს ემუქრება. არავითარ შეთანხმებაზე ლაპარაკი არ გვიხდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ძალები დენიკინთან გადაწყვეტილ ბრძოლას დაიწყებენ. მაგრამ ვაი ჩვენ, თუ ჩვენს შორის ისევ გაისმა ნეიტრალიტეტზე ხმა. მაშინ საშინელ უბედურებას უნდა მოველოდეთ“.

ახალი ამბები

სამშაბათს, 2 აგვისტოს, საღ. 6 ს. ცენტრალური კომიტეტის ბინაზე დანიშნულია სხდომა საქართველოს სოც. დ. მ. პარტიის

საკანტროლო კომისიისა. პროვინციაში მყოფ წევრებს სთხოვენ დაესწრონ სხდომას.

◆ **აფხაზეთის კომისარიატმა** სოხუმის ოლქიდან გაძევება გადაუწყვიტა ნიკო თავდგირიძეს იმ წერილების გამო, რომლებიც მან გაზ. „საქართველოში“ მოათავსა. ამის გამო ნ. თავდგირიძემ და სოხუმის ქართველმა საზოგადოებამ საპროტესტო დეპეშით მიმართეს მთავრობის თავიჯდომარეს. მოითხოვენ საქმის ყოველმხრივ გამორკვევას, ვინაიდან კომისარიატის განკარგულება მათ უკანონოთ მიაჩნიათ.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროს** ვეტერინალურ—სანიტარულ განყოფილებასთან შესდგა კომისია განყოფილების უფროსის თანაშემწის ვეტერინარ—ექიმის ახმეტალაშვილის თავმჯდომარეობით საქონლის ჭირთან საწინააღმდეგო წესდება-პროექტის შესამუშავებლათ. ამ კომისიაში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული არიან ვეტერინარ—ექიმები-სამხედრო უწყებიდან კ. მ. ფარეიშვილი, თფილისის ერობიდან მრევლიშვილი ქალაქის თვითმართველობიდან ვ. ო. მამამთავრიშვილი, თფილისის ვეტერინარიის პუნქტიდან შ. დედაბრიშვილი. კომისია შეუდგა მუშაობას 28 ივლისიდან.

◆ **მუშათა კლუბში** შაბათს, 2 აგვისტოს გაიმართება წარმოდგენა-დივერტისმენტი. შემოსავალი გადაიდება რესტორანების და კლუბების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის სასარგებლოთ.

◆ **სისხლის სამართლის მილიციამ** 21 ივლისს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გაჩხრიკა დავით წერეთლის ღვინის სარდაფი. აღმოაჩინეს ინგლისელების კუთვნილი სხვა და სხვა ტანსაცმელები, რომელიც გადასცეს ინგლისელების პოლიციის უფროსს. დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს.

◆ **ქიზიმ-ბეის შეპყრობა.** ამ დღეებში თფილისში ინგლისის სარდლობამ შეიპყრო ქ. შუშის ყოფილი კომენდანტი და ბოლო დროს ამიერ-კავკასიაში ოსმალეთის ემირათ ნამყოფი ქიზიმ-ბეი.

◆ **სამხრეთის ოსებში ერობის შემოღების შესახებ.** დღეს დილის 11 ს. იუსტიციის სამინისტროში შესდგება სხდომა, რომელსაც დაესწრებიან სათანადო უწყებათა წარმომადგენელნი. სხდომაზე მოწვეულნი არიან პროფესორები: ივ. ჯავახიშვილი, ექვ. თაყაიშვილი და ბენაშვილი.

◆ **ერობის სტატისტიკოსთა ყრილობა.** 28 ივლისს თფილისის სამაზრო ერობის ბინაზე გაიხსნა რესპუბლიკის ერობათა სტატისტიკოსების პირველი ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ცენტრალურ ერობის წევრი ისიდ. სტურუა. ჯერ-ჯერობით მოისმინეს მოხსენებები ადგილებიდან და ერობის სტატისტიკური განყოფილების წევრის მოხსენება.

◆ **პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება.** ამ დღეებში პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქართველოს ტერიტორია“.

◆ **აბხაზეთის კომისარიატის** მიერ გამოცემულ კანონის თანახმათ აბხაზეთის კომისარიატთან უნდა დაარსდეს იურიდიული კომისია საჭირო შემადგენლობით. შემოღებულ იქმნას მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი და უნდა გაუქმდეს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომლის ფუნქციები დროებით სოხუმის საოლქო სასამართლოს დაევალოს. ზემოხსენებულ პროექტის განსახორციელებლათ მიეცეს იუსტიციის კომისარს 29,400 მან.

◆ **მძარცველთა შეპყრობა.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით შეიპყრეს მძარცველთა ჯგუფი, რომელმაც 4 ივლისს ვორონინს წაართვა 1 მილიონი მან. ფული და სხვადასხვა ნივთები.

ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ

შაბათს, 1 აგვისტოს თფ. საქონლის სადგურში შესდგება ს. ს. დ. მუშათა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს სრულ 5 ს. თავის ბინაზე, შესდგება ახალ მარქს. ორგ. ცეკას და საფინანსო კომისიის სასწრაფო სხდომა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ევროპის საზოგადოებრივი აზრი მთიელთა რესპუბლიკის შესახებ.

დენიკინის მიერ მთიელთა რესპუბლის დაპყრობა და მისივე განზრახვა, რომ ბოლო მოუღოს კავკასიაში არსებულ სახელმწიფოებს, დიდ უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებრივ წრეებში. ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე დაარსებულ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა საზაო კონფერენციას მიჰმართეს თხოვნით, რომ მიიღონ ყოველივე ზომები და იხსნან თვით გამორკვეული ერები დენიკინისაგან. ასეთივე თხოვნით მიჰმართეს ბალფურას და აგრეთვე ევროპის სხვა სახელმწიფოების იმ წარმომაგენლებს, რომლებიც სპეციალისტები არიან რუსეთის საკითხებში. შედეგად ასეთ თხოვნებს მოყვა ის, რომ კავკასიაში იგზავნება რწმუნებული, რომელიც შეეცდება ვამოასწოროს ადგილობრივათ მყოფ ინგლისელების მიერ შეცდომები, რომელთაც ნება მისცეს დენიკინს არ შეესრულებინა ინგლისის ცენტრალური მთავრობის გადაწყვეტილება.

დამფუძნებელი კრება

28 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ოლღა სოლოღაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები შემდეგი დეკრეტებისა: 1) ქუთაისის და თფილისის ბანკების წესდების შეცვლისა, 2) თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შტატების დამტკიცებისა, 3) დასახლების საქმის მოსაწყობათ 5 მილიონი მანეთის გადადებისა, 4) ინგლისის მისიის სასარგებლოთ 150000 მან. გადადებისა ბათუმის რკინის გზის უბნის საექსპლოატაციოთ გადმოცემისათვის, 5) საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოთ რესპუბლიკის რკინის გზის სამგზავროთ ბილეთების დაბაჟვისა, 6) შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 100,000 მან. გადიდებისა სოხუმის ოლქში გადამდებ სნეულებასთან საბრძოლველათ, 7) 857,996 მან. გადადებისა სოხუმ-ახალ-სენაკისა და გუდაუთ-პილენკოვის გზატკეცილთა ხიდების ასაგებათ და შესაკეთებლათ, 8) შავი ქვის საფუთო გადასახადის გადიდებისა და 9) შავი ქვის მრეწველთა საბჟოსათვის ნახევარი მილ. მანეთის სესხათ მიცემისა.

ივ. ჯავახიძე მოახსენებს კრებას დეკრეტს ადგილობრივ თვითმართველობათა სასარგებლოთ დაწესებულ საფუთო გადასახადის მომქმედ კანონდებულებათა შეცვლის და შევსების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შექმნილ საერთაშორისო პირობების გამო ჩვენი ქალაქის და ერობების თვითმართველობანი მეტის-მეტ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ფინანსიურის მხრით, ამის გამო ისინი ვერ აკმაყოფილებენ თავიანთ ნორმალურ დანიშნულებას. დეკრეტის ძალით ქალაქის თვითმართველობებს ნება ეძლევათ შემოიღონ ადგილობრივ თვითმართველობათა სასარგებლოთ საფუთო გადასახადი რკინის გზით ან ზღვით ქალაქში შემოტანილ და ქალაქიდან გატანილ ტვირთზე, საფუთო გადასახადის შემოსავალი, როგორც ქალაქის, ისე საერობო თვითმართველობამ უნდა მთლიანათ მოახმაროს მხოლოდ გზებისა და ხიდების შეკეთებას და გაყვანა-გაშენებას.

ლ. შენგელაია (ს. რ.). წინააღმდეგია დეკრეტისა.

დ. ონიაშვილი (ს. დ.) აცხადებს, რომ სოც.-დემ. ფრაქცია მომხრეა დეკრეტისა. სწორეთ ის არა ნორმალური მდგომარეობა ერობებისა და ქალაქის თვითმართველობებისა გვაიძულებს ჩვენ ეს გადასახადები შემოვიღოთ. ორატორი ამტკიცებს, რომ საფუთო გადასახადები არსებობდა ძველი წესწყობილების დროსაც, ამ საშვალებას მიმართავენ აგრეთვე ევროპის სახელმწიფოებშიაც. დღევანდელ პირობებში ამ დეკრეტის მიღება არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს და ის მიღებულ უნდა იქნას. შემოსავალი გზების შეკეთებას უნდა მოხმარდეს. მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ დეკრეტი მუხლობრივ განხილულ იქნა და მიღებული.

ნ. იმნაიშვილი აკეთებს მოხსენებას თფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის გაუქმების და სახელმწიფო უნივერსიტეტთან პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების შესახებ. წარმოდგენილი დეკრეტი, ამბობს მომხსენებელი, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ჩვენ არ გვყავს სათანადოთ მომზადებული მასწავლებლები არც დაწყებით და არც საშუალო სასწავლებლებისათვის. საოსტატო ინსტიტუტში ახალგაზდობა ნაკლებათ მიდიოდა, რადგანაც საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი უნივერსიტეტში შედიოდენ. მასთან ეს ინსტიტუტი ამზადებდა მასწავლებლებს მხოლოდ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებისათვის. ინსტიტუტის უმაღლეს სასწავლებლათ გადაკეთება და მისი დამოუკიდებლათ არსებობა დიდ ხარჯებს მოითხოვდა და მოუხერხებელი იყო. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ უფრო მიზან შეწონილი და ნაყოფიერი იქნება ინსტიტუტი დაუქვემდებაროთ სახელმწიფო უნივერსიტეტს. ინსტიტუტში ორი საფეხური თითო ორ-ორ წლიანი. პირველ საფეხურზე მომზადდებიან უმაღლეს დაწყებითი სკოლების მასწავლებლები.

მეორე საფეხური კი მოგვცემს მასწავლებლებს საშუალო სკოლებისათვის. პირველ საფეხურზე მიიღებიან არა საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი შესაფერი გამოცდების ჩაბარებით, მეორეზე კი—სრულ უფლებიანი სტუდენტები. იქნება ორ ფაკულტეტი: სიბრძნის მეტყველების და ფიზიკა-მატემატიკის. დეკრეტი მუხლობრივი განხილვის შემდეგ უკამათოდ მიღებულ იქნა.

ი. ირემაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო ხაზინიდან 290,089 მან. და 25 კაპ. გადადების შესახებ რკინის გზაზე პარტახტიან ტიფთან ბრძოლის გაწეულ ხარჯების დასაფარავად.

სვ. მდივანის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საჭიროებისათვის 37,650 მ: გადადების შესახებ.

ოლღა სოლოღაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი თფილისის სატეხნიკო სასწავლებლის საშუალო საპოლიტეხნიკო სასწავლებლად გადაკეთებისა.

ი. ირემაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელ კრების კანცელარიასთან სტამბის დაარსებისა.

წარმოდგენილი იყო ორი პროექტი. ერთი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისაგან, მეორე —სოც.-დემოკრატიული ფრაქციისაგან. მიღებულ იქნა უკანასკნელი პროექტი, რომელიც სტამბას აძლევს დროებით ხასიათს, რადგანაც მთავრობას განზრახული აქვს ყველა თავის სტამბების გაერთიანება და როდესაც ეს მოხდება, დამფუძნებელ კრების კანცელარიასთან არსებული სტამბაც უნდა შევიდეს ამ მთლიან მთავრობის სტამბაში.

ალ. ჩიქავა (ს. დ.) აკეთებს მოხსენებას 1917 წ. აგვისტოს 5-ს დადგენილების მოქმედების განგრძობისა ბინებზე და სხვა ადგილებზე უმაღლესი ფასების განსაზღვრის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აღნიშნული კანონის ვადა გადის 5 აგვისტოს და რომ არევ-დარევა არ მოხდეს ბინის საკითხის გარშემო, საჭიროა დადგენილების ვადის განგრძობა.

ალ. ასათიანი. (ნ. დ.) წინააღმდეგია წარმოდგენილი დეკრეტისა, რადგანაც 1917 წლის 5 აგვისტოს დადგენილებით მესაკუთრეთა ინტერესები ძლიერ დაჩაგრულიაო.

დ. ონიაშვილი. აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი დეკრეტი არსებითად არ სწყვეტს ბინის საკითხს. ამ საკითხზე მუშავდება სამინისტროში რთული კანონ-პროექტი და ბ. ასათიანს მაშინ შეუძლია თავისი აზრი გამოსთქვას. მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

ეროვ. დემოკრატების წინადადება.

ეროვნულ დემოკრატებს წინადადება შემოაქვთ, რომ ლეჩხუმის მაზრაში არსებულ არა ნორმალურ მდგომარეობის გამოსარკვევათ და შესაფერი ზომების მისაღებათ დამფუძნებელმა კრებამ აირჩიოს საგანგებო კომისია. წინადადებას ასაბუთებს **სპ. კედია,** რომელსაც მოჰყავს ცნობები ორი ახვლედიანის, სამი დადიშკელიანის, ერთი ასათიანის და სხვების მკველობის შესახებ და ასკვნის: ვინაიდან ლეჩხუმის ადმინისტრაცია და სამართალი ასეთ არანორმალურ მოვლენების გამო არავითარ ღონისძიებას არ ღებულობს და ადამიანის სიცოცხლე არაფრად არ ფასობს, საჭიროა ლეჩხუმში დატრიალებულ ამბების გამოსარკვევად გაიგზავნოს საგანგებო კომისია.

ნ. ჯოჯუაძე. (შინაგ. საქ. მინის. ამხანაგი). აცხადებს, რომ ლეჩხუმში განსაკუთრებული მდგომარეობა არ არის. ის მკვლელობები, რომელიც აქ ბ. კედიამ დაასახელა არ არის პარტიულ ნიადაგზე მომხდარი. ისინი (მკვლელობები) უმთავრესად ჩადენილია ყაჩაღ მორჩაძის მიერ, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ არ არის შეპყრობილი, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენ მიერ მიღებული ღონისძიებანი მიზანს მიაღწევს და მორჩაძე ამ ახლო მომავალში შეპყრობილი იქნება. რაც შეეხება მკვლელობებს, ჩვენ უკვე მოვახდინეთ განკარგულება, რათა სასტიკად გამოძიებულ იქნას ის პირობები, რომლებშიაც ეს მკვლელობები მოხდა. ამიტომ განსაკუთრებული კომისიის გაგზავნა საჭირო არ არის.

ჰელიძე. (ს. დ.) აღნიშნავს, რომ ლეჩხუმში ნორმალური მდგომარეობაა და საგანგებო კომისიის გაგზავნა იქ ზედმეტია.

სპ. კედია. კვლავ აცხადებს, რომ ორი ახვლედიანის, დადიშკელიანის და ასათიანის მკვლელობას არავითარი კავშირი არა აქვს ყაჩაღ მორჩაძესთან და ამიტომ იქ გაგზავნილ უნდა იქნას საგანგებო კომისიაო.

რ. ყიფიანი ამბობს: ეროვნ. დემ. ფრაქციის წინადადება სვანეთის არჩევნების გადადებას და დამფუძნებელი კრების ფრაქციებისაგან შემდგარ კომისიის ლეჩხუმში გაგზავნას გულისხმობს. წინადადებაში ნათქვამია: ტერორი სწარმოებს პარტიულ და პირად ნიადაგზე და რომ ამის გამო ეროვნულ-დემოკრატების წრიდან სვანეთში წასვლას ვერავინ თანხმდება.

რაც შეეხება პარტიულ ტერორს, არ ვიცი რა პარტიულ ტერორზე ლაპარაკობენ ლეჩხუმის მაზრაში თანაც თუ სხვები ტერორს აწარმოებდნენ ამათ—კარგა ხანია ეროვნულ-დემოკრატების პარტიაში მოიყარეს თავი. როცა იმათი ფრაქცია აქ ტერორზე კითხვას აყენებს, მე აი რა მაგონდება: რაჭაში ერთი თავადი ცხოვრობდა—ასლან ერისთავი. 1905 წ. მივიდა ერთი ღირსება აყრილი აზნაური და უთხრა: ხალხმა ბოიკოტი გამოგიცხადაო. ბატონო რას მერჩიან, არაფერი დამიშავებია, ღირსება არავის აუყრია, ალბათ შენ გამოგიცხადეს და გინდა მე მომახვიო თავსო, მიუგო ერისთავმა. იმ რაჭველი აზნაურივით თავისას თუ ვისმეს ახვევენ თავს ეროვნული დემოკრატები, თორემ სხვა პარტიული ტერორი ლეჩხუმში არავინ იცის. იმ პარტიამ, რომელსაც მე ვეკუთვნი, ლეჩხუმში საუკეთესო ამხანაგები დაკარგა ტერორის და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. შამშე გელოვანი მაშინ მოკლეს, როცა გარდაფხაძეების ამოსაწყვეტათ ხალხი ციხეს მოაშორა და შინ გაისტუმრა. ეროვნულ დემოკრატების ფრაქციაში ზის ლეჩხუმელი დეპუტატი, რომელმაც ჩვენი პარტია გაჰყიდვების და რეაქციის დროს დასტოვა. მას უთუოთ წამოყვებოდა ხსოვნა ამაების შესახებ.

ისიც მიკვირს, თუ ეროვნულ-დემოკრატების წრიდან სვანეთში წასვლას ვერავინ ბედავს. წინეთ ეს ხალხი გულადობას იჩემებდა. ისეთი ანარქია და ტერორი, როგორიც ამ ერთი წლის წინეთ იყო ლეჩხუმში, აბა ვის ემახსოვრება? მაშინ ეროვნული დემოკრატები ამბობდნენ: არაფერი მომხდარა, ჩვენ გავიშვით და ლეჩხუმში საქმე კარგათ წავაო. ვინც ლეჩხუმის ანარქიას უარყოფდა მაშინ, როცა ლ. დადეშკელიანი მოკლეს და ლეჩხუმში დახოცილებს ქუთაისის სასაფლაობზე გუნდ-გუნდათ ვეზიდებოდით, იმას რა უფლება აქვს დღეს ლეჩხუმის შესახებ კრინტი დასძრას და იქ ანარქია ახსენოს?

ბ. კედიამ აქ ახსენა მოკლულთა გვარები: ახვლედიანები, გელოვანი, ბერუჭაშვილი და მოხუცი ასათიანი. პარტიული ტერორი აქ არაფერ შუაშია. ახვლედიანები და გელოვანი დარაჯებმა მოკლეს გაქცევის გამო. თუ ვისმეს იმის თქმა უნდა, ეს ხალხი არ გაიქცოდაო, უნდა მოგახსენოთ: გელოვანი არა ერთხელ განაქცევი იყო, იგი, სხვათა შორის, გაიქცა თფილისის ციხიდან და ვინც სხვაგან გარბოდა, რატომ ლეჩხუმშიდაც არ სცდიდა გაქცევას? გელოვანი კაჩაღი იყო, ხოლო ახვლედიანებმა ძიძის შვილი მოკლეს ქალაქიდან სოფელში მინატანი ორი გროშისათვის და გაძარცვეს. როცა დედამ შვილის მკვლელი იცნო, ძუძუ აჩვენა და უთხრა: ამ ძუძუთი გაზრდილმა შვილი რათ მომიკალიო. მოკლეს დედაც. ჩ. ბერუჭაშვილს სახლში მიუხტენ და მოკლეს. ისიც კაცის მკვლელი იყო და ასეთი კაცის პირად ნიადაგზე მოკვლა განა შეუძლებელია? მოხუცი ასათიანი მშრომელი კაცი იყო. იგი პარტიულ ცხოვრებას არ აწარმოებდა და რა საქმე ჰქონდა მასთან რომელიმე პარტიას? განსვენებულს ერთის მხრივ ვილაც დეზერტირებთან ჰქონია დავა, მეორეს მხრივ რაღაც გარდაფხაძეების ძველი საქმეები გამოუძებნია და სვანებს რაღაცას თხოვდა. ფიქრობენ, ამ წინდაუხედავი დავების მსხვერპლი გახდა. ხმები დაყარეს ალ. დადეშქელიანის და ინდიკო გელოვანის მოკვლისა. კედიამ ესენიც ახსენა. ეს რომ მართალი ყოფილიყო, მართლა ცუდი ნიშანი იქნებოდა, რადგან ესენი სულ სხვა ჯგუფის ხალხია. გუშინ ველაპარაკე ლეჩხუმს პირდაპირი მათულით და ამათი სიკვდილი ეროვნულ-დემოკრატების მოგონილი ჭორი გამოდგა.

სვანეთში ეხლა უფრო წესიერებაა, ვიდრე აქამდე იყო. რაჭა-ლეჩხუმს ნაძარცვავ საქონელს უბრუნებენ, მთავრობას სცნობენ და ერთგულებას პირდებიან, ამისი ცნობა ეხლახან იქიდან დაბრუნებულმა ჩვენმა დეპუტატებმა ჩამოიტანეს და რას ერჩით იმ ხალხს? თუ ვინმეს, ლეჩხუმით ეშინია, სამეგრელოზე არის სვანეთში შესავალი გზა. ამ გზით სვანებიც დადიან, ჩვენი დეპუტატებიც ჩამოვიდნენ, ერთხელ, ვგონებ, ვატალიმაც გაიარა და რაღა ეროვ.-დემ. ვეღარ გაეტევა?

ამ სახით დამფ. კრება ხედავს, რომ ლეჩხუმის ამბები გაზვიადებულია. დამფუძნებელი კრება უბნის ზედამხედველი ხომ არ არის, რომ კუთხეებში ოქმების შესადგენათ იაროს? რაც შეეხება თქვენს თავის ქნევას ბ-ნო კედია, მაგითი ვერავის შეაშინებ. კომისიის თუ სხვა სახით მიბრძანდით ლეჩხუმში და როცა ის აღმოაჩინოთ რასაც მოელით, მერე აქნიეთ თავი.

ეროვნულ-დემოკრატების წინადადება უარყოფილ იქნა.

სატარიფო პალატა

თუთუნის ქარხნების მუშების შესახებ.

პრეზიდიუმი აცნობს სხდომას, რომ თუთუნის ქარხნის პატრონთა და იქ მოსამსახურეთა შორის მომხდარა შეთანხმება ჯამაგირების 50 პროც. გადიდების შესახებ იმ პირობით, რომ დამტკიცებულ იქნეს სატარიფო პალატის მიერ დაწესებული ჯამაგირები. სატარიფო პალატის დადგენილებით კი, ეს ჯამაგირები უდრის 3150—2310 მან. განიხილა რა სატარიფო პალატამ ეს საკითხი, სცნო რა ის სატარიფო პალატის დადგენილების წინააღმდეგ მიმართულათ, მიიღო წინადადება, შემოტანილი მუშათა სექციის მიერ. წინადადება შემდეგი შინაარსისაა: ეს შეთანხმება არ იქნეს დამტკიცებული და საკითხი თუთუნის ქარხნებში მოსამსახურეთათვის ტარიფის დაწესებისა გადადებულ იქნეს ამ საკითხის ყველა სექციებში განხილვამდე.

თფ. სათ.-აზნაურო ბანკის მოსამსახურეთა შესახებ.

მთავრობის შეკითხვაზე,—ვრცელდება თუ არა თფილისის სათავ-დ-აზნაურო ბანკის მოსამსახურეებზე ის მოძატება, რომელიც დაწესებულია საარბიტრაჟო კომისიის მიერ საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის,—სატარიფო პალატა უპასუხებს დადებითად.

განხილვა საკითხის,—საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის 35 პროც. ჯამაგირების გადიდების შესახებ გადადებულ იქნა სხვა კავშირთა ტარიფების დამტკიცებამდე.

მომატების ნორმა იმათთვის, ვინც ღებულობს ყოველივე საჭირო საგნებს და ვინც ღებულობს პირველ საჭიროების საგნებს დაკლებულ ფასებში.

იმათი ხელფასის გადიდება, რომელნიც ყოველივე საჭირო საგნებს ღებულობენ,—ხდება მხოლოდ 23 პროც.-ით.

ხოლო იმათი ხელფასის გადიდება, რომელნიც ღებულობენ პირველ საჭიროების საგნებს დაკლებულ ფასებში,—ხდება თითეულ შემთხვევაში იმის დამიხედვით,—თუ რამდენი, რა ხარისხის და რა ფასებში ეძლეოდათ მათ ეს საგნები და რამდენათ რეგულიარულათ სწარმოებდა საგნების მიცემა.

მუშათა შორის

თფილისი. 27 ივლისს შესდგა მთავარ სამხედრო სასურსათო საწყობების პურის მცხობელთა კრება; ილაპარაკეს ამხ. ჩ. სულხუხიამ დი არ. უმბრიევმა; მათ აუხსნეს მუშებს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა; მუშები ინტერესით შეხვდენ ამხანაგების მისვლას, აღუთქვეს, რომ შემდეგისათვის ყველა მუშებს მოუყრიან თავს, ჩაეწერებიან პარტიაში. ივლიან სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებაში ლექციებზე და სხვა. X.

„ალორძინების“ მოსამსახურეთა შორის. ივნისის 11-ს შესდგა ჩვეულებრივი სხდომა კოოპერატივ „ალორძინების“ გამგეობისა. კრებას დაესწრო 6 წევრი გამგეობისა. დღის წესრიგში იყო დასმული მოქ. მელჩარსკის მოქმედება, რომელსაც „ალორძინების“ წლიურ ანგარიშების შედგენა და კანტორის ტეხნიკური ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული და რომელმაც ეს მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე დასტოვა დაუსრულებელი და ნაწყვეტი წავიდა „ალორძინებიდან“. როგორც გ. ბეჟიაშვილის მოხსენებიდან გამოირკვა, ბ. მელჩასკის წასვლა გამოუწვევია იმ მდგომარეობას, რომ მას, (მელჩასკის) მიუღია წერილი „ალორძინების“ მოსამსახურეების საბჭოდან, შემდეგი შინაარსის: „ჩვენთან შემოვიდა განცხადება მოსამსახურეებიდან, რომ ვითომ თქვენ არა სასურველათ ეპყრობით მოსამსახურეებს. საბჭო მწუხარებით აღნიშნავს რა ამ მოვლენას,—იმედოვნებს, რომ ამნაირი ქცევა აღარ განმეორდება თქვენის მხრით. პატივისცემით საბჭო“.

აი ეს სურვილი საბჭოსი შეურაცყოფათ მიიჩნია მოქ. მელჩარსკიმ და საქმეს გაექცა, ამ საკითხმა მიიქცია დღევანდელი კრების ყურადღება და კრების გახსნისთანავე პირველ რიგში იყო დასმული, საბჭოს წერილი და მოქ. მელჩარსკის დამოკიდებულება მასთან. ამ საკითხის გარჩევის დროს გამოაშკარავდა გამგეობის ზოგიერთი წევრების ფიზიონომია.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბ. მელჩარსკი მოითხოვდა, თუ რომ გამგეობას უნდოდა მელჩარსკის თავის ადგილზე დაბრუნება, მას უნდა გარანტია მიეცა, რომ მოსამსახურეები აღარ მოიქცევიან უზრდელათ.

იხსნება კამათი: სიტყვას იღებს ბ. მიტრო ბაქრაძე. ის თავის სიტყვაში ბრალსა სდებს მოსამსახურეებს და ამბობს: მოსამსახურეები ღუპავენ „ალორძინებას“ და ეს იმიტომ, რომ ისინი სარგებლობენ ფართო უფლებებითო. მთელი სიტყვა ბაქრაძისა, მოსამსახურეების წინააღმდეგ იყო მიმართული.

გამგეობის დანარჩენი წევრები ძალიან უკმაყოფილონი დარჩენ ბაქრაძის სიტყვით და ზოგიერთებმა პროტესტიც განაცხადეს. სიტყვას იღებს „ალორძინების“ მუშა მოსამსახურეების საბჭოს წარმომადგენელი ლ. კვიკვიძე. ბაქრაძე, ამბობს ორატორი, არ არის მართალი, როცა ის ყოველგვარ უბედურებას მოსამსახურეებს ახვევს თავზე და უთითებს საბჭოს ოქმებზე, სადაც ნათლათ დაინახავთ, რომ საბჭო გამგეობის წინააღმდეგ არას დროს არ მუშაობდა. რაც შეეხება უფლებას, ეს ჩვენთვის სამოწყალოთ არვის მოუცია, ეს მივიღეთ რევოლუციით, რომლის ბრძოლაშიაც ბევრი სისხლი დაანთხია მუშათა კლასმა. ამის უფლებას გვაძლევს ჩვენ კოლექტიური ხელშეკრულებაც. კრებამ დიდი კამათის შემდეგ მიიღო რეზოლიუცია; ეთხოვოს მელჩარკის, რომ მან დაასრულოს წასული წლის ანგარიშები და ამავე დროს გამგეობამ ეძებოს ახალი ბუხგალტერი.

X.

ს.-დ. პარტიაში

ს. ს. დ. მ. პ. ავლაბრის მესამე რაიონის წევრებისადმი.

ამხანაგებო! მესამე რაიონში პარტიული მუშაობის ასაღორძიებლად და საერთოთ კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლლექტივი ყოველ საშუალებას ხმარობს და ამ ნიადაგზე ზოგიერთ შემთხვევაში მიზანსაც აღწევს, მაგრამ ამავე დროს, კოლლექტივს არ შეუძლიან თავის წევრების საყურადღებოთ არ აღნიშნოს, რომ ერთგვარი გულ-გრილობა და აბსენტეიზმი ამჩნევია ჩვენს პარტიულ ცხოვრებას საერთოდ, და კერძოდ პარტიულ ამხანაგებს. პარტიული მაჯის ცემა გამოიხატება იმაში, რომ თითეული პარტიის წევრი ღრმად განიმსჭვალება დღევანდელი რთული მდგომარეობის პასუხის მგებლობით, თითეული პარტიის წევრი მოვალეა თავის არჩეულ ორგანოს, კოლლექტივის გარშემო იტრიალოს, დაინტერესდეს კოლლექტივის საქმიანობით და ეს უკანასკნელი თუ სუსტი გამოდგება, პარტიის წევრთა ვალია შთაბეროს მას გამაცოცხლებელი სული. ავლაბრის რაიონში რომ შედარებით სხვა რაიონებთან ბევრია საკეთებელი, ამას პარტიის ყველა წევრი უნდა გრძნობდეს; ამიტომ, ამხანაგებო, შემოკრბით კოლლექტივის გარშემო. ამ ჟამად სწარმოებს ახალი რეგისტრაცია, მოდით მოიტანეთ თქვენი ძველი პარტიული წიგნაკები, გამოსცვალეთ ნომრები, ვისაც პარტიული გადასახადი არა გაქვთ შემოტანილი, დააჩქარეთ შემოიტანოთ, იარეთ სისტემატიურად ახლად გახსნილ სახალხო უნივერსიტეტის უფასო ლექციებზე, იარეთ პარტიულ კრებებზე, თავი მოიყარეთ „იაჩეიკებში“ სამაცადინოთ.

ამასთანავე ვაცხადებთ: დღიდან ამ მოწოდების გამოქვეყნებისა პარტიის წევრთ ეძლევათ ერთი თვის ვადა, გამოსცვალონ პარტიული წიგნაკების ნომრები, წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნაკები გაუქმებულად ჩაითვლება და სახელი და გვარიც გამოცხადებულ იქნება პარტიულ ორგანოში. კოლლექტივის ბინა ღია არის დილის 9 ს. შუადღის 1 საათამდე, საღამოს 5 საათიდან, 7 საათამდე, (კახეთის ქუჩა, № 1).

ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლლექტივი.

პროვინცია

ტაშის კარი. (გორის მაზრა) აქეთკენ მშვენიერი მოსავალია, მაგრამ გლეხები მაინც ვერ ახერხებენ კარგ გუნებაზე. პური და სიმინდი, ღვთის მადლით, გვექნებაო—ამბობენ, მაგრამ ფულს აღარა აქვს არავითარი ფასიო. ყველაფერი მამასისხლად ფასობს, ცხოვრება გაჭირდაო და სხვა. ზღაპრულ სიძვირეს და საზოგადოთ, იმ აუტანელ პირობებს, რომელშიაც ვიმყოფებით, ადგილობრივი შავრაზმელები უხსნიან გლეხებს ისე, როგორც მათ, შავრაზმელებს მოუხდებათ. „ნიკოლოზ ხელმწიფის დროს ყველაფერი იშოვებოდა, გირვანქა პური სამ კაპეიკად ღირდა, დღეს კი 8—12 მ. ფასობს; ვინ არის დამნაშავე? ჩვენი მთავრობა“—გაიძახიან ხალხის მტრები. აქაური გულუბრყვილო და განუვითარებელი გლეხი ადვილად ითვისებს ამისთანა ყალბ ახსნა-განმარტებას, რასაც შეიძლება არა სასურველი შედეგი მოყვეს, მით უფრო, როდესაც ამას ხელს უწყობენ ზოგიერთი ყოფილი ბატონები. მაგალითად, სოფელ ტაშისკარის ყოფილი მებატონეები, რომელნიც დღემდინ ხალხს ემალებოდენ,—დღეს თამამად მოკალათებულან ძველ ბინებზე, გლეხებს ძალადობით ემუქრებიან და არწმუნებენ, რომ მთავრობა მათ ატყუებს, რომ ის მიწები, რაც მთავრობამ მემამულეებს ჩამოართვა, ვითომ ისევ მემამულეებს უნდა დაუბრუნდეთ და სხ. ამიტომ ისინი დაჟინებით მოითხოვენ ღალებს არა მარტო იმ ადგილებიდან, რომელიც მათ კანონით ერგოთ, არამედ იმ ადგილებიდანაც, რომელიც მათ მთავრობამ ჩამოართვა და ფონდში ჩარიცხა. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ აუცილებლათ საჭიროა, რომ ამ გარემოებას ჩვენმა მთავრობამ დაუყონებლივ მიაქციოს ყურადღება, რათა შესაფერი ზომების მიღებით ხალხის მტრების თარეშს სამუდამოთ ბოლო მოუღოს.

ივანე სათიველი.

ოზურგეთი. 13 ივლისს მოხდა ზვანის მე-3 უბნის კრება. კრების მიერ დადასტურებულ იქნა კომისიის მიერ შემუშავებული ორი გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე: ქურდობის და სამედიატორო სასამართლოს შესახებ. პირველ საკითხზე კრებამ დაადგინა: თუ უბანში მოხდება ქურდობა, პასუხი უნდა აგონ ძველად ქურდობაში შემჩნეულმა პირებმა. მეორე საკითხით კი კრებამ სავალდებულო გახადა სამედიატორო სამართალი ყველასთვის. მკითხველი ნათლად ხედავს, რომ პირველი გადაწყვეტილება არა თუ სპობს ქურდობას, აძლიერებს კიდეც და უდანაშაულოთ სტოვებს ქურდებს. ხალხს ესპობა საშუალება მონახონ ქურდები, რადგან ასეთ საშუალებაზე არაა ლაპარაკი რეზოლიუციაში. იქ აშკარათაა ნათქვამი, რომ თუ მოხდა ქურდობა, დაისჯებიან ძველად შემჩნეულნი პირნი. და მეორე მხრივ, ეს უხსნის გზას ახალ ქურდების გაჩენას, რადგან მათ მაგიერ სხვები აგებენ პასუხს. ასეთი დადგენილება ვერც ძველად შემჩნეულ პირებს გამოასწორებს: ბევრი საბუთი ეძლევათ ხელში თავის გამართლებისა თუ მოხდება ახალი ქურდობა. მეორე საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში არაა მიღებული, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმის განსხვავება და კომისია ერთნაირ კანონების გამომცემ ორგანოთ გადაიქცა. სამედიატორო სამართალი, როგორც გვესმის, მხარეების თანხმობაზე დამოკიდებული არის, რომელიც კომისიის წევრების დადგენილებით მოკლებული ხდება. ეს დადგენილება აშენებულია პიროვნების შეზღუდვაზე: მოქალაქეს არ ძალუძს უარი განაცხადოს მედიატორის არჩევაზე, პირობაზე ხელის მოწერაზე, მედიატორების გადაწყვეტილებაზე. და საქმე გადმოიტანოს უმაღლეს ინსტანციებში და ამითი გამოარკვიონ შეცდომანი ერთის თუ მეორეს მსაჯულისა. ასე საკითხის გადაწყვეტას ჩემის აზრით მოაქვს ზიანი, როგორც მხარეთათვის, ისე ხაზინისთვის სასამართლოს ბაჟის გადახდის სახით.

საჭიროა ასეთ დადგენილებებს ყურადღება აიქციეს და აეხსნას ხალხს საქმის ვითარება.

ზვანელი.

ღერ. რედაქციის მიმართ

გაზ. „სახალხო საქმის“ № 545-ში მოთავსებული იყო ჩემდამი ალ. ბარამიძეს შეკითხვა, იმის შესახებ, რაც არ ყოფილა, რაც არ მომხდარა. ამბობენ „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო“. ალ. ბარამიძის ავათმყოფ ფანტაზიას მიეწერა რასაც ის ჩემს შესახებ სწერს აღნიშნულ გაზეთის ფურცლებზე.

საქმე შემდეგში იყო: ქალ. ხაშურში, 26 მაისს დღესასწაულზე ამბ. თხოვნით წარმოვსთქვი სიტყვა. როგორც მუშა-პროლეტარი შეძლების და გვარათ ვცდილობდი გადამეშალა მსმენელებისათვის სრული სურათი დღესასწაულის სიდიადისა და აღმენიშნა იმ პარტიის დაუღალავი შრომა—მოღვაწეობა, რომელმაც მიიყვანა საქ. მშრომელი ხალხი ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებამდე: თავის თავად ცხადია, ს. დ. პარტიას თავის ხანგრძლივ მოღვაწეობის დროს იქნებოდა იდეური შეტაკება დანარჩენ პარტიებთან. მეც რამდენიმე სიტყვით შევეხე სოციალისტ-ფედერალისტებს, როგორც ერთ-ერთ სოც.-დემ. მოწინააღმდეგე პარტიას. მსმენელებს გადავეცი ის აზრი, რომელიც ტრიალებს მუშების ფართო წრეებში—ფედერალისტების მოქმედების შესახებ. ფედერალისტები მთავრობაში ყოფნის დროს სიტყვით ერას ებრძოდნენ და წერით, საქმით სხვას ეკეთებდნენ... და როდესაც მთავრობას ისინი ჩამოაშორეს—ხელი ხდნენ და სოც.-დემ. პირდაპირ ბალშევიკურ მეთოდებით გამოუცხადეს ბრძოლა; მაგრამ ჩვენი მშრომელი ხალხი კარგათ იცნობს თავის ინტერესების ნამდვილ დამცველთ და მომავალშიაც სოც.-დემ. პარტიას ნდობა უნდა გამოუცხადოთ მეთქი. ეს იყო და ეს. მგონი უფლება მქონდა, თუნდა 26 მაისის დღესასწაულზე მეთქვა ის, თუ ვის უფრო მეტათ უნდა ენდოს მშრომელი ხალხი. რაც შეეხება იმას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ფედერალისტებიც სწირავენ მსხვერპლს ჩვენ ეს კარგათ ვიცით, ვინაიდგან ასეთ მებრძოლებს ჩვენ გვერდში ვუდგევართ და დიდს პატივსაც ვცემთ მათ. ფედერალისტების ვექილი კი ჩემს სიტყვებს „სახალხო საქმის“ ფურცლებზე უწოდებს „დემაგოგიას“, ჩემს გამოსვლას „ხულიგანურს“. სწორედ ალ. ბარამიძეზეა ზედ გამოჭრილი ნათქვამი „კოკას შიგან, რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებისო“.

მ. ძამანაშვილი.

განცხადებანი

1919 წ. იანვარში ტუაფსის ქ. შ. წ. კ. გ. საზ. განყოფილებამ გამომატანა 10,000 მან. ფული და თან წერილები ის წერილები გზაში დავკარგე და დღემდის ფული არ გადაძიცია დანიშნულებისამებრ და არც ვიცი თუ ვის უნდა გადავსცე, ამიტომ ზემო ნახსენებ საზ. საყურადღებოთ ვაცხადებ: მაცნობოს თუ ვის გადავცე ეს 10,000 მან. და როგორ მოვიქცე. ჩემი ადრესი: ქ. ქუთაისი, აბრამ პაპიაშვილს. (2—1)

ექიმი **ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე** იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეზრაბიანცი** შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასიათდება X-სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღა, მოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი
ექიმ **ა. თ. ტუღუშელაშვილის**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7, ხან. საათ.

ექიმი ქალი **ნ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **ს. უ. ხალხალიშვილი** ქალისა და სადრსტაჭრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი **ს. ა. ზაზრანი** სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზსაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **დ. ი. ჭაშარიძე** ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

სახალხო კინო-თეატრი

რომელიც გაიხსნა ქალაქის შრომის ბირჟასთან (მადათოვის და ბარიატინ. ქუჩ. კუთხე.)
30 და 31 ეკრანზედ იქნება **პოჭკის დაღუპვა**, 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა, რომელშიაც ღებულობენ მონაწილეობას 5000 კაცამდის

პარასკევს 1 აგვისტოს გარეთ სუფთა ჰაერზედ გაიმართება **ცეკვა**. ცეკვის შემდეგ სურათების ჩვენება. **შაბათს, 1 აგვისტოს** დიდი **კონცერტი** ბ-ნ ბ. ი. **ზალიბსკის** და სხვა სახელმწიფო თეატრის მსახიობების მონაწილეობით.

კვირას, 3 აგვისტოს გაიმართება საბავშვო სეირნობა ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით. მთელი შემოსავალი გადადებულია შრომის ბირჟის უმუშევართა უფასო სარჩოსათვის.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაშვის შესახვევი № 1.